ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი N11

დაბა ქედა **25 ნოემბერი, 2024 წელი**

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 13:00 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი;
ოთარ ხარაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი:
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი;
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი;
ინგა ანანიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;
ციური ზაქარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;
ლაშა ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში;
ნანა ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში;
ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - ჯემალ ტაკიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

25.11.2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
4	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	ოთარ ხარაძე	კომისიის წევრი	
7	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	
8	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
9	ინგა ანანიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი :

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი;**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე ამირან წულუკიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი (წერილის ნომერი: №12-95243201-95; 15.11.2024 წელი).

საკითხის განხილვის მიზნით, კომისიის თავმჯდომარემ წინადადება დააყენა „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის მიმართ დარგობრივი კომისიების მიერ წარმოდგენილი წინადადებები ცალ-ცალკე განეხილათ, რასაც კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, საკრებულოს დარგობრივი კომისიებიდან წარმოდგენილია შენიშვნები:

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია:

1. 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვა;
2. 2025 წლის ბიუჯეტით შესყიდული იქნეს ამწეკრანი ე.წ. „ჟირაფი“;
3. დაბა ქადაში 9 აპრილის ქუჩის №19-ში და № 20-ში მცხოვრები მოსახლეობა ითხოვს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნას დასახელებული ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება და კეთილმოწყობა.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადებები კენჭისყრაზე დააყენა:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტში სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ ცვლილებების შესახებ წარმოდგენილი წინადადებები მოწონებულ იქნას.

სოციალურ საკითხთა კომისია:

1. სარეზერვო ფონდის გაზრდა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად;
2. შინმოვლის მიზნობრივ პროგრამაში ცვლილების შეტანა. კერძოდ, ბენეფიციარს ხანდაზმულ ასაკში არ მოეთხოვოს ჯგუფის მოწმობა, გადაწყდეს კომისიურად;

3. ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის რემონტი;
4. სოფელ უჩხითის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.
5. სოფელ ბალაძეებში საერთო სასაფლაოს ტერიტორიაზე საყრდენი კედელის მოწყობა;
6. სოფელ ჯალაბაშვილებში გზის რეაბილიტაცია;
7. სოფელ ჯალაბაშვილების საჯარო სკოლის ეზოში სტადიონის მოწყობა;
8. იმანაშვილების უბანში თამაზ მანველიძის სახლიდან თამარის ხიდის მიმართულებით საცალფეხო კიბის მოწყობა;
9. სოფელ ხარაულაში ახოსერის უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა;
10.სოფელ ხარაულაში ზაქარაშვილების უბანში საჭიროა გზის გაფართოება;
11.სოფელ დანდალოში არძენაშვილების უბნიდან სოფლის ცენტრამდე ფერდსამაგრი კედლის გაკეთება;
12.სოფელ ტაკიძეებში ცენტრის კეთილმოწყობა, გზის გაფართოება და ფერდსამაგრი კედლის მოწყობა.

კომისიის წევრმა ამირან ცინცაძემ აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა შინმოვლის მიზნობრივ პროგრამაში ცვლილებას. მისი თქმით შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი ჯგუფის მოწმობა აუცილებლად წარსადგენ დოკუმენტს წარმოადგენს.

კომისიის სხვა წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადებები კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:
კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტში სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ ცვლილებების შესახებ წარმოდგენილი წინადადებები მოწონებულ იქნას.

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია:

1. სოფელ ცხმორისში და სოფელ გეგელიძეებში ასფალტირებული გზის არსებულ არხებზე ცხადაურის მოწყობა;
2. სოფელ ცხმორისში საჯარო სკოლის ეზოში ბეტონის ან ასფალტის დაგება;
3. სოფელ კოკოტაურში არასრული სკოლის ეზოში ბეტონის ან ასფალტის დაგება;
4. ახოს №1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე საწრეტი არხის მოწყობა;
5. სოფელ გობრონეთში სასმელი წყლის მილის შემენა (90 მილიმეტრიანი 800 მეტრი);
6. სოფელ ახოში თამაზ ბოლქვაძის საცხოვრებელ სახლთან გზის საყრდენი კედლის ჩამოსხმა.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადებები კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტში ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მიერ ცვლილებების შესახებ წარმოდგენილი წინადადებები მოწონებულ იქნას.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ამირან წულუკიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელი შემდეგი შენიშვნები:

1. სოფელ აბუქეთაში დაკიდულ ხიდთან მოსაცდელის მშენებლობა;
2. წონიარისის კულტურის სახლის და ადმინისტრაციული შენობის რემონტი;
3. წონიარისის ადმინისტრაციულ ცენტრში სკვერის მოწყობა;
4. ზვარეს ადმინისტრაციულ ცენტრში მინი სპორტული მოედნის მოწყობა.

კომისიის წევრმა ამირან ცინცაძემ ბიუჯეტის პროექტის განხილვისას შემოვიდა წინადადებით, რომ 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას საჯარო მოხელეებისთვის სახელფასო სარგოს ზრდის საკითხი, რაც გულისხმობს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული კოეფიციენტების ზრადს ერთი საფეხურით.

კომისიის სხვა წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადებები კენჭისყრაზე დააყენა:

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ ცვლილებების შესახებ წარმოდგენილი წინადადებები მოწონებულ იქნას.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცვლილებების შესახებ წარმოდგენილი წინადადებები შემდეგი სახით:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა შემაჯამებელი დასკვნის მომზადების მიზნით პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შემდეგი სახის შენიშვნები:

1. სოფელ აბუქეთაში დაკიდულ ხიდთან მოსაცდელის მშენებლობა;
2. წონიარისის კულტურის სახლის და ადმინისტრაციული შენობის რემონტი;
3. წონიარისის ადმინისტრაციულ ცენტრში სკვერის მოწყობა;
4. ზვარეს ადმინისტრაციულ ცენტრში მინი სპორტული მოედნის მოწყობა;
5. სარეზერვო ფონდის გაზრდა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად;
6. ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის რემონტი;
7. სოფელ უჩხითის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.
8. სოფელ ბალაძეებში საერთო სასაფლაოს ტერიტორიაზე საყრდენი კედელის მოწყობა;
9. სოფელ ჯალაბაშვილებში გზის რეაბილიტაცია;
10. სოფელ ჯალაბაშვილების საჯარო სკოლის ეზოში სტადიონის მოწყობა;

11. იმანაშვილების უბანში თამაზ მანველიძის სახლიდან თამარის ხიდის მიმართულებით საცალფეხო კიბის მოწყობა;
12. სოფელ ხარაულაში ახოსერის უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა;
13. სოფელ ხარაულაში ზაქარაშვილების უბანში გზის გაფართოება;
14. სოფელ დანდალოში არძენაშვილების უბნიდან სოფლის ცენტრამზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა;
15. სოფელ ტაკიძეებში ცენტრის კეთილმოწყობა, გზის გაფართოება და ფერდსამაგრი კედლის მოწყობა.
16. სოფელ ცხმორისში და სოფელ გეგელიძეებში ასფალტირებული გზის არსებულ არხებზე ცხადაურის გაკეთება;
17. სოფელ ცხმორისში საჯარო სკოლის ეზოში ბეტონის ან ასფალტის დაგება;
18. სოფელ კოკოტაურში არასრული სკოლის ეზოში ბეტონის ან ასფალტის დაგება;
19. ახოს №1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე საწრეტი არხის მოწყობა;
20. სოფელ გობრონეთში სასმელი წყლის მილის შეძენა (90 მილიმეტრიანი 800 მეტრი);
21. სოფელ ახოში თამაზ ბოლქვაძის საცხოვრებელ სახლთან გზის საყრდენი კედლის მოწყობა;
22. ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვა;
23. ამწეკრანი ე.წ. „ჟირაფი“-ს შესყიდვა;
24. დაბა ქადაში 9 აპრილის ქუჩის №19-ის და №20-ის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება და კეთილმოწყობა.
25. მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებისთვის კანონით განსაზღვრული სახელფასო კოეფიციენტების ზრადა ერთი საფეხურით.

სხდომის თავმჯდომარემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემაჯამებელი დასკვნიით გასათვალიწინებელი სენიშვნები კენჭისყრაზე დააყენა:

მომხსრე: 6

წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

მიზანშეწონლად იქნას მიჩნეული „„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილი წინადადებების გათვალისწინება.

წინააღმდეგი: 0

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 13:00 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **ამირან წულუკიძე**

ოქმი შეადგინა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ნანა ბერიძე**